

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში
დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) 196-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 ნაწილი:

„8) საქართველოს საწარმოების მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და აღნიშნული პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

